



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 238

2019 წ. "12" _____ 12

ქ.თბილისი

შპს - სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო
საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ თუ აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

თავმჯდომარე

მდივანი

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 17 ივნისს შპს - სასწავლო უნივერსიტეტმა გეომედი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №374 (ცენტრში რეგისტრაციის №766988) სააკრედიტაციო განაცხადი „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 10 ივლისის №598 ბრძანების საფუძველზე, შპს - სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 13 სექტემბრის №831 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 09-10 ოქტომბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს - სასწავლო უნივერსიტეტ გეომედში, ხოლო 2019 წლის 05 დეკემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

თავმჯდომარე

მდივანი

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 12 დეკემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები.

2.5. საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შემდეგი რეკომენდაცია:

ა) პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია უნდა იყოს პროგრამის შესაბამის დარგში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ან პროგრამის შემუშავების დებულებაში პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ გაწერილი მოთხოვნები უნდა იყოს დაკორექტირებული.

2.6. საბჭომ საქმის მასალების შესწავლისა და ზეპირი მოსმენის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მამიებელს დამატებითი უნდა მიეცეს შემდეგი რეკომენდაცია:

ა) აუცილებელია ან დადასტურდეს „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შესაბამისი მიმართულებით, ან აღნიშნული სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ჩანაცვლდეს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირით.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს - სასწავლო უნივერსიტეტი გომედის 2019 წლის 17 ივნისის №374 (ცენტრში რეგისტრაციის №766988) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს - სასწავლო უნივერსიტეტ გომედის „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2019 წლის 12 დეკემბრის №66 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა/დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

თავმჯდომარე

მდივანი

- ა) დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზის ინსტრუქცია და შესაბამისი მექანიზმები;
- ბ) პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და პროგრამის განვითარების მიზნით, ჩატარდეს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების რელევანტური ანალიზი;
- გ) აკადემიური პერსონალი აქტიურად იქნეს ჩართული პროგრამის შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესებში;
- დ) პროგრამაში შემცირდეს სპორტის შემსწავლელი სასწავლო კურსების მოცულობითი წილი (ან შესაბამისი საგნები მოთავსდეს არჩევითი საგნების ბლოკში), ასევე გაიზარდოს რეაბილიტაციის (აღდგენითი მკურნალობის) და კლინიკური მედიცინის ამსახველი კურსების წილი;
- ე) განახლდეს და დაკორექტირდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა; განახლდეს წიგნადი ფონდი თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურით;
- ვ) უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობა;
- ზ) პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად აღწერილი სწავლის მეთოდებიდან, რაც საერთოა თითქმის ყველა კურსის სილაბუსის მიხედვით, ჩამონათვალში დარჩეს ის მეთოდები, რომლებსაც ჩართული აკადემიური პერსონალი რეალურად იყენებს სწავლებლაში და საგნების სპეციფიკის გათვალისწინებით რელევანტურად თვლის;
- თ) სწავლის შედეგების შეფასების რელევანტურობის მიღწევის მიზნით პერსონალმა კარგად უნდა გაიაზროს სწავლების მეთოდები და შედეგების ანალიზზე დაკვირვებით გააუმჯობესოს შეფასების ფორმები;
- ი) სწავლა-სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისთვის, მოწვეული პედაგოგებისთვის დაიგეგმოს და ჩატარდეს პრაქტიკული ხასიათის ტრენინგები;
- კ) გათვალისწინებულ იქნეს გარე ხარისხის შეფასების შედეგები და საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები;
- ლ) უზრუნველყოფილ იქნეს აკადემიური პერსონალის, მოწვეული პედაგოგების, სტუდენტების, დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შეცვლისა და მონიტორინგის პროცესის ყველა ეტაპზე, რაც შესაბამისი დოკუმენტაციით უნდა დასტურდებოდეს;
- მ) აუცილებელია ან დადასტურდეს „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია შესაბამისი მიმართულებით, ან აღნიშნული სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ჩანაცვლდეს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირით.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 6 თვე - 2020 წლის 22 ივნისამდე.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს (2019 წლის 19 დეკემბერი).

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში

თავმჯდომარე

მდივანი



სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სხდომის თავმჯდომარე
საბჭოს მდივანი

Two handwritten signatures in blue ink. The top signature is a cursive 'S' followed by a flourish. The bottom signature is a more complex cursive script.

ლევან გორდეზიანი
ნინო ლიპარტია

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
2	სტატუსი ²	აკრედიტებული
3	სტატუსის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საბჭო(ებ)ს 2014 წლის 13 დეკემბერი, №275
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება ³	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
5	უმაღლესი განათლების საფეხური ⁴	ბაკალავრიატი
6	კვალიფიკაციის დონე ⁵	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საგნის/საგნების/საგნობრივი უფლების მითითებით ⁶	ჯგუფის სწავლების
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0915 თერაპია და რეაბილიტაცია
10	კვალიფიკაციის კოდი ⁷	0915
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
13	განხორციელების ადგილი ⁸	საქართველო 0114, ქ. თბილისი, მეფე სოლომონ მე-2-ის ქუჩა N4, N6
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 19 დეკემბერი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა ⁹	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 6 თვე (2020 წლის 22 ივნისამდე)
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2026 წლის 21 დეკემბერი

¹ დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

² ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

³ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

⁴ ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

⁵ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

⁶ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁷ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/5) შესაბამისი კოდი

⁸ ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

⁹ საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი